გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 22
(11 479)

20 – 22 მარტი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



„აიაქსი" – „სპარტა" 9-0. აქედან 4 ბურთი შოთა არველაძემ გაიტანა.

## ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები, შედეგები

6

## SOS კა და კა! – კიდევ ერთი ყადაღა!

და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის საბანკო ანგარიშს და, როგორც ყოველთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდის წინ!

3

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში



რუმინეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები თბილისში უძლიერესი შემადგენლობით და მუქარანარევი ზრახვებით ჩამოდის. გუნდში 16 ლეგიონერია. ძირითად იმედს მწვრთნელი ბოლონი „კობრად" წოდებულ ილიეზე ამყარებს, რომელსაც არ ათამაშებს იტალიელებთან და საგანგებოდ თბილისური მატჩისთვის შემოინახავს.

საქართველო

GEORGIA

## განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აცხადებს, კონკურსს ასპირანტთა (5.05. — 15.06.) და ახალგაზრდებს შორის (19.06. — 4.07.) საერთაშორისო სემინარებში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გაიმართება საბერძნეთის ქალაქ ოლიმპიაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს: თავისუფლად ფლობდნენ უცხო ენას (ინგლისურს ან ფრანგულს) და კარგად ერკვეოდნენ სპორტისა და ოლიმპიზმის საკითხებში.

მსურველებმა მოგვმართეთ ამა წლის 25 მარტამდე საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში მისამართზე: დ. აღმაშენებლის პროსპექტი №65, ტელ: 95-20-79.

ტონი ადამსი – ლოთი, ზფოთისთავი, ონავარი, მწერალი და შესანიშნავი ფეხბურთელი – წასვლაზე ფიქრობს.

5

რობერტ ბაგოიანის ფოტო



სტეფანო ბოსსი საქართველოში მაგბილის ჩოგბურთის განვითარების მხარდასაჭერად ჩამოვიდა

2



**მეკარეები:** — ბოგდან სტელია („სალამანკა", ესპანეთი), ფლორინ პრუნია („დინამო", რუმინეთი);

**მცველები:** კოსმინ კონტრა („ალავესი" ესპანეთი), ლივიუ ჩობოტარიუ („სტანდარდი", ბელგია), ადრიან იენცი („რაპიდი", რუმინეთი), დანიელ პროდანი, მირელ რადოი (ორივე — „სტიაუა", რუმინეთი), იულიან ფილიპესკუ („ბეტისი", ესპანეთი), ტიბერიუ ჯიოანი („რაპიდი", რუმინეთი), კრისტიან კივუ (აიაქსი, ჰოლანდია);

**ნახევარმცველები:** კონსტანტინ გალკა („ესპანიოლი", ესპანეთი), დორინელ მუნტიანუ („ვოლფსბურგი", გერმანია), კატალინ მუნტიანუ („სალამანკა" ესპანეთი), ლაურენციუ როსუ („ნუმანსია", ესპანეთი), დენის სერბანი („ელჩე", იტალია), პაულ კოდრია („ჯენოა", იტალია), ალინ სტოიკა (ანდერლეხტი", ბელგია);

**თავდამსხმელები:** ადრიან ილიე („ვალენსია", ესპანეთი), ვიორელ მოლდოვანი („ნანტი", საფრანგეთი), იონელ განეა (შტუტგარტი"), ადრიან მუტუ („ვერონა"), მარიუშ ნიკოლაუ („დინამო", ბუქარესტი).

გაზეთის დაბეჭდვის წინ ცნობილი გახდა, რომ რუმინელთა თავკაცმა ეჭვი გამოთქვა „ვერონას" ფორვარდის ადრიან მუტუს ამჟამინდელი სპორტული ფორმის თაობაზე: „შაბათს დავესწარი „ვერონას" მატჩს „ვიჩენცას" წინააღმდეგ. მუტუმ მხოლოდ 10 წუთი ითამაშა და მისმა გამოსვლამ არ დამაკმაყოფილა".

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

● **ბუქარესტის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის (გარდაიცვალა 1999 წელს) იტალიელ პრიმო ნებიოლოს სახელი.**

● **გუშინ** თანამდებობიდან გადადგა სერია A-ში წარუმატებლად მოასპარეზე „უდინეზეს" საფეხბურთო კლუბის გენერალური მენეჯერი პიერპაოლო მარინო. კლუბის დირექტორატმა, გუშინვე, თანამდებობიდან გადააყენა მთავარი მწვრთნელი, ლუიჯი დი კანიო.

● **ველოსიპედისტთა საერთაშორისო ასოციაციამ გამოაქვეყნა ახალი რეიტინგი. ლიდერობენ ქალებში — დიანი ჟილიუტე, ვაჟებში — იტალიელი ფრანჩესკო კასაგრანდა.**

● **ფიფამ,** გუშინ, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრებიდან გვინეა გარიცხა. ამის მიზეზია ის, რომ ამ ქვეყნის სპორტის მინისტრმა თანამდებობაზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელიც ადრე უკანონოდ გაათავისუფლეს. ამასთან, გვინეა მოიხსნა აფრიკის თასის გათამაშებიდან. დაისაჯა ახალგაზრდული ნაკრებიც.

● **ფეხბურთი. წუხანდელი მატჩები იხ. მე-7 გვ.**







## ფარიკაობაში ჩვენმა მსაჯებმაც გაიკაფეს გზა მსოფლიოს სარბიელზე

როგორც ეტყობა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სპორტის სახეობებში სარეთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდების მინიჭების ჩვენთვის კარგა ხნით შეწყვეტილი პროცესი, განახლებას იწყებს. ყოველ შემთხვევაში, ერთი სასიხარულო ფაქტის მოწმე უკვე გავხდით. ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციამ (FiE) ჩვენ ეროვნულ ფედერაციას აცნობა, რომ საქართველოს ოთხ წარმომადგენელს მიენიჭა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება. ესენი არიან: ავთანდილ კიკნაძე და დავით სახვაძე — ხმალში და დაშნაში — B კატეგორია; გიორგი სახვაძე და ჯ ამაზ კაკულია — ხმალში — C კატეგორია. ვულოცავთ!

„ლელოს საინფორმაციო სპონსორია კომპიუტერული ფირმა; Softmaster

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 5 თვე დარჩა

SALT LAKE 2002
TM © 1997 SLOC 36 USC 380

## ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 10 თვე და 18 დღე გვაშორებს

**8–24 თებერვალი 2002 წ.**

## აპრობაცია – „ჯარისკაცის ბლინდაჟში"

მომავალი თეთრი ოლიმპიადის მასპინძლებმა „სათხილამურო ოლიმპიურ კვირეულზე", რომელიც ტრადიციულად, მთელი წლით წინ უსწრებს ოფიციალურ ოლიმპიურ სტარტებს, ყველა მონაწილეს მცირე დოზებით აულეს სისხლი და მასობრივი აპრობირება ჩაატარეს. მიზანი — დოპინგის გამოვლენა, უსწრაფესად და მაღალხარისხოვნად სისხლში ჰემოგლობინისა და სხვა შენაერთების და ა.შ. დადგენა. ამისათვის სოლტ-ლეიკში (ჯარისკაცის ბლინდაჟს ნიშნავს) 200 კგ-იანი აპარატი ჩაიტანეს, რომლის დანერგვას ახლა ყველა შეჯიბრებაზე აპირებენ. ამ პროცედურას ჯერჯერობით სტატუსი არა აქვს, მხოლოდ წინასწარი შედეგებია, მაგრამ უკვე იძლევა ნათელ სურათს სტარტის წინ სპორტსმენის ფუნქციურ და სხვა მდგომარეობის შესახებ.

## საქართველოს მაგიდის ჩოგბურთისკენ ევროპის ფედერაციამ გამოიხედა

საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციას ახალი თავკაცი ჰყავს – კობა ძლიერიშვილი. ეს პიროვნება სერიოზული ზრახვებით მოვიდა ხელმძღვანელად და საქმესაც დაეტყო – ტარდება შეჯიბრებები, გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები სპორტული ინვენტარისა და ბაზების პრობლემის გადასაჭრელად. ახლა დონორად, ალბათ, ევროპის ფედერაცია მოგვევლინა, რომლის პრეზიდენტი სტეფანო ბოსსი გუშინ თბილისს ეწვია და უმალვე შეხვდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილს, ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებს. გუშინვე იგი ბათუმში გაემგზავრა, სადაც დღეს საერთაშორისო ტურნირი იწყება, ძირითადად ამიერკავკასიის მაგიდის ჩოგბურთელთა მონაწილეობით. სტუმარს მნიშვნელოვანი განზრახვაც აქვს – ადგილზე გაეცნოს აჭარაში საერთაშორისო მნიშვნელობის სასწავლო-სპორტული ცენტრის შექმნის შესაძლებლობებს. მისი თქმით, თუ ასეთი ცენტრის შექმნის საკითხი დადებითად გადაწყდება, ჩვენთან წელიწადში ოთხჯერ ჩამოვლენ სხვადასხვა ქვეყნის გუნდები სასწავლო-სპორტულ შეკრებებზე.

საპატიო სტუმრის ვიზიტის წინ, თბილისში დამთავრდა დედაქალაქის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, მასპინძლების ბათუმის, ქუთაისის ბორჯომის და რუსთავის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საერთო პირველობა მოიპოვეს უმდიდრესი ტრადიციების ბათუმელმა სპორტსმენებმა, მეორე იყო თბილისის, მესამე – რუსთავის გუნდი.

**ცოტნე ბაქრაძე**



ბათუმელი მაგიდის ჩოგბურთელთა

## „საუკუნის გაზაფხული" სამგორში

21-28 მარტს თბილისის სამგორის რაიონის მოსწავლეთა სასახლე უმასპინძლებს საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალს „საუკუნის გაზაფხულს", რომლის ორგანიზატორები არიან შავი ზღვის აუზის ქვეყნების საჭადრაკო ასოციაცია, ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სკოლა „მართვე" და ტარდება საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პატრონაჟობით. სტუმრებს ელიან სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, რომლებიც მთავარი პრიზებისთვის ქართველ მოჭადრაკეებთან ერთად იბრძოლებენ. ტურნირში თამაშის სურვილი ჩვენებიდან უკვე გამოთქვეს ახალგაზრდა ოსტატებმა ბაადურ ჯობავამ, ზვიად იზორიამ, სოფიკო ტერელაძემ, სოფიკო გვეტაძემ, მიხეილ მჭედლიშვილმა, დავით შენგელიამ და სხვებმა. პრიზები საკმაოდ ძვირფასი იქნება — ასპარეზობას „საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი" სპონსორობს.

**ა). ტურნირი ვაჟთა და ქალთა შორის. რეიტინგ-ტურნირი ფიდეს წესებით.**

**ბ). 16 წლის ჭაბუკებსა და გოგონებს შორის (1.01.85 შემდეგ დაბადებულნი)**

**გ). 14 წლის ჭაბუკებსა და გოგონებს შორის (1.01.87 შემდეგ დაბადებულნი)**

**დ). 12 წლის ჭაბუკებსა და გოგონებს შორის (1.01.89 შემდეგ დაბადებულნი)**

**ე). 10 წლის ჭაბუკებსა და გოგონებს შორის (1.01.91 შემდეგ დაბადებულნი)**

**ვ). 8 წლის ჭაბუკებსა და გოგონებს შორის (1.01.93 შემდეგ დაბადებულნი)**

**ზ). 50 წლის ასაკის ზემოთ ბატონებსა და ქალბატონებს შორის.**

## ამოყვინთავს თუ არა წყალქვეშა ცურვის ჩაძირული ტრადიციები საქართველოში?



ვისთან ასოცირდება წყალქვეშა სამყარო? ალბათ, სირინოზებთან, კაპიტან ნემოსთან, მეოცე საუკუნის მიწურულიდან კი კუსტოსთან და მისი გუნდის წყალქვეშა თავგადასავლებთან... ვერ გეტყვით, რატომ აირჩია წყალქვეშ აკვალანგით ცურვა ჩემმა დღევანდელმა სტუმარმა, ერთი კი ცხადია, „დაივინგი" ქართველ ახალგაზრდებშიც დღითიდღე პოპულარული ხდება.

საერთაშორისო ურთიერთობათა მაგისტრატურის სტუდენტი სოსო მგელაძე, სპორტის არაერთი სახეობით იყო გატაცებული. კარატეში I დანის მფლობელი ტოკიოს და თურქეთის საერთაშორისო ტურნირების მონაწილეა. გარდა ამისა, დადიოდა მთაში და პარაპლანითაც დაფრინავდა, ვიდრე წყალში ისე ღრმად არ ჩავარდნილა, რომ იქიდან ამოყვინთვა დასჭირებოდა. ამ ამბის პირველი ნაწილი თუ სიმართლეს შეეფერება, მეორე, უბრალოდ, ხუმრობად, ან ჩემს ფანტაზიად ჩათვალეთ. სოსოს „დაივინგით" გატაცება კი თურმე ასე დაიწყო...

— თითქმის ერთი წლის წინათ, ჩემი მეგობრის გიორგი მაღლაკელიძის მოწვევა მივიღე და თურქეთს გავემგზავრე. გიორგი იქ მე-4 წელია წყალქვეშა ინსტრუქტორად მუშაობს. მეც ერთხელ წყალქვეშ ჩავყვინთე და მომეწონა.

● *ე.ი. იმის თქმა გინდა რომ ეს იყო წყალქვეშ „მოგზაურობის" პირველი ცდა?*

— არა, თურქეთში გამგზავრებამდე „დაივინგი" საქართველოში ვცადე. პირველად ძველი სახანძრო ბალონები გადავაკეთე აკვალანგად და ისე ვცურავდი. ახლა რომ მახსენდება, მეცინება. ეს ამბავი თურქებს რომ მოვუყევი, წყალთან ახლოს აღარ მიშვებდნენ. ისე, აკვალანგით, წყალქვეშა ცურვისათვის სრულიადაც არ არის საჭირო დიდი მოცურავე იყო...

— ?!

— წყალქვეშ შენს სამუშაოს ფეხზე წამოცმული ფარფლები აკეთებს. სხვათა შორის, რამდენიმე დღის შემდეგ, გავრისკე და ქალბატონსაც ჩავაყვინთვინე. იგი თურმე ადრე იხრჩობოდა და მას შემდეგ წყლის პანიკური შიში ჰქონდა... მოკლედ, ყვინთვაც მომეწონა და თანაც ამასობაში, ჩემი მეგობარი გიორგი მაღლაკელიძე „PADI"-ს სკოლაში მიიწვიეს, ინსტრუქტორთა მოსამზადებელ კურსებზე. გიორგიმ, როგორც თარჯიმანი, მეც თან გამიყოლია და ისე მოხდა, რომ სასწავლო კურსი კარგად შევისწავლე. მოკლედ, რაც სკოლაში არ მისწავლია ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია — ყველაფერი თურქეთში „ავინაზღაურე". გიორგის სერთიფიკატი მისცეს, რომლის მიხედვითაც მას წყალქვეშ გარკვეულ დონემდე (40 მეტრამდე) ჩაყვინთვის უფლებაც აქვს. სხვათა შორის, 40 მეტრამდე წყალქვეშ აკვალანგით ცურვის უფლება მოყვარულებს ეძლევა, 40 მეტრს მიღმა კი პროფესიონალები ყვინთავენ. სულ ახლახან ამ სკოლიდან მეც მომივიდა მიწვევა, ალბათ თურქეთში კვლავ გავემგზავრები.

● *სოსო, რამდენადაც ვიცი, საქართველოში არის ერთი პატარა ჯგუფი, რომელიც ზაფხულში „ლაგუნავერეზე" აკვალანგებით წყალქვეშ ცურავდა.*

— ...ეს ფასიანი სიამოვნება (15 წუთი წყალქვეშ ყოფნა 3 ლარი ღირდა) 400-მა ადამიანმა განიცადა. სხვათა შორის, ამ პატარა ჯგუფს დიდი სურვილი ჰქონდა მსოფლიოში სტუდენტთა შორის პოპულარული „დაივინგი" ქართულ სტუდენტურ ცხოვრებაშიც დაენერგა. თსუ-ს სპორტული კლუბის პრეზიდენტს ვთხოვეთ უნივერსიტეტში „დაივინგ კლუბის" დაარსებაზე ნებართვა, მაგრამ ჯერ ორ თვემდე გვალოდინეს, შემდეგ...

● *ეს ალბათ იმიტომ, რომ თანხები იყო საჭირო...*

— საქმე ისაა, რომ ჩვენ ვითვალისწინებდით თსუ-ს მძიმე ფინანსურ მდგომარეობას, საცურაო აუზის უქონლობასაც და ვაპირებდით ყველაფრისთვის საკუთარი ფული შეგვეწირა. პირველი ცდით თუმცა არაფერი გამოგვივიდა, ოცნებას აუცილებლად ავისრულებთ.

● ***საქართველოში, წყლის რესურსებით მდიდარ ქვეყანაში სპორტის და ტურიზმის ამ ლამაზ სახეობას რატომ არავინ აქცევს ყურადღებას?***

— ყველა გზა ფინანსებამდე მიდის და იმიტომ. „დაივინგი" სსრკ-ში საკმაოდ განვითარებული და პოპულარულიც იყო, მაგრამ ახლა სპორტის ამ ლამაზი სახეობის სწავლების სისტემაც მოძველდა და აღჭურვილობაც. ერთი ადამიანის ეკიპირება 500 ამერიკულ დოლარამდე ჯდება, ინსტრუქტორთა სწავლების თითო კურსი — 200-300 დოლარი. საერთაშორისო წესებით, წყალქვეშ აუცილებლად მეწყვილესთან ერთად უნდა იცურაო, რითაც ხარჯები ორმაგდება. ჩვენთან მყვინთავთა ინსტიტუტი მხოლოდ სამაშველო სამსახურშია. ქართველი მაშველები ოცი წლის წინანდელი აპარატურით მუშაობენ და ძირითადად წყლის ფსკერიდან გვამები ამოჰყავთ. სპორტული თვალსაზრისით კი „დაივინგზე" საქართველოში თითქმის აღარ ლაპარაკობენ...

...20-23 წლის აქტივისტთა ჯგუფს პრობლემების მიუხედავად იმედი აქვს, რომ „დაივინგი" საქართველოში აღორძინდება. „თუ მხარში არ დაგვიდგებიან, ხელს მაინც ნუ შეგვიშლიან" — ამბობენ ბიჭები.

**თამუნა ჯიშკარიანი**

## უნიკალური სამტომეული

**ქართული** სპორტის, კერძოდ — ჭადრაკის ისტორიის მოყვარულებმა ამ ექვსი წლის წინათ მიიღეს ცნობილი ჟურნალისტისა და ჭადრაკის მემატიანის, დოცენტ თენგიზ გიორგაძის „ქართული ჭადრაკის მატიანეს" სამტომეულის პირველი ტომი, ორი წლის შემდეგ წიგნის მეორე ტომი გამოვიდა, სულ ახლახანს კი მკითხველმა მიიღო მესამე ტომი, რომელიც გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერებამ" (წიგნის რედაქტორია საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ჩიკვაიძე).

ადვილი არ იყო ამ უნიკალური ტრილოგიის შექმნა. ქართულ ჭადრაკს საკმაოდ დიდი და მდიდარი ისტორია გააჩნია, და მისი ყოველი დეტალისათვის კუთვნილი ადგილისა და როლის განსაზღვრა დიდ და შრომატევად საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ავტორს უნდა შეესწავლა და გაეშუქებინა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის, ქალაქისა თუ სოფლის საჭადრაკო ცხოვრება, ადგილობრივი ენთუზიასტების საქმიანობა, მიეწოდებინა მკითხველისათვის სხვადასხვა დონის შეჯიბრებებზე მათი წარმომადგენლების გამოსვლის საერთო სურათი. მაგრამ ავტორისათვის საქმეს აიოლებდა ის გარემოება, რომ თავად იყო და არის ქართული საჭადრაკო მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი და ცოცხალი მეისტორიე.

წიგნში ფაქტების შესაშური სიზუსტითაა გადმოცემული აჭარის, აფხაზეთის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთისა და სხვა რეგიონების საჭადრაკო ცხოვრება 26 დიდოსტატის, 25 საერთაშორისო ოსტატის, 70-მდე ოსტატის, ფიდეს 7 ოსტატისა და სხვათა მიერ განვლილი სპორტული გზა.




ავტორი მკითხველს აცნობს ჩვენი ცნობილი მოღვაწეების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, ილია ვეკუას, გიორგი ნიკოლაძის, გიორგი ახვლედიანის, აკაკი შანიძის, ნიკო კეცხოველის, კოტე მარჯანიშვილის, იაკობ ნიკოლაძის, ზურაბ ანჯაფარიძის, სერგო ქობულაძის, ვასო გოძიაშვილის, პიერ კობახიძისა და სხვათა სიყვარულს ამ ბრძნული თამაშისადმი. თავის დროზე თ. გიორგაძის ძალისხმევით ბევრი ქართველი მოჭადრაკის სახელი შეინარჩუნა ისტორიამ. ახლაც — სარეცენზიო წიგნში მოტანილია ახალი მასალები ფოტინე ჩიქოვანასათიანის, ელენე ზაუტაშვილის, ლიზა მარქაროვასა და სხვათა შესახებ.

წიგნში მკითხველი გაეცნობა, მსოფლიოში და საქართველოში გამოჩენილი მოჭადრაკეების, საჭადრაკო ცხოვრების, ორგანიზატორების, საჭადრაკო კომპოზიტორების, საქართველოდან წასულ და დღეს უცხოეთში მოღვაწე მოჭადრაკეების მოღვაწეობას.

მკითხველს ბევრ საინტერესო სიახლეს სთავაზობს განაყოფები — „ნაპოვნია ქართული ჭადრაკი", „ნაპოვნია უძველესი ქართული ფიგურები", „კავშირი ასტროლოგიასთან", „ჭადრაკი ძველ ქართულ მწერლობაში".

დასასრულს ავტორი ვრცელ გამოკვლევას უძღვნის მიხეილ საყვარელიძის მიერ 1926 წელს გამოცემულ პირველ საჭადრაკო სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე, რაც თავის დროს დიდ ისტორიულ მოვლენად მიიჩნიეს. ვულოცავ ავტორს და ქართულ საჭადრაკო სამყაროს უკვე სამტომეულის გამოცემის გასრულებას.

**ავთანდილ ციბაძე,**
პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

## დაიბეჭდა სპორტსმენის საკლასიფიკაციო წიგნაკი

**„ლელომ" დასტამბა სპორტსმენის საკლასიფიკაციო წიგნაკი, რომელსაც 10 წელიწადზე მეტია მოკლებული იყო ჩვენი სპორტული სამყარო. წიგნაკი 32-გვერდიანია და იტევს სპორტსმენის სხვადასხვა მონაცემებს, როგორიცაა ანთროპომეტრიული (2001-2010 წლები), შეჯიბრებებში და შეკრებებში მონაწილეობა, ნაკრებ გუნდებში გამოსვლა, სამედიცინო დასკვნა, საინფორმაციო საშუალებებში სპორტსმენზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების აღნუსხვა და ა.შ.**

**წიგნაკების შესაძენად სპორტულმა ორგანიზაციებმა მიმართეთ „ლელოს" კომერციულ სამსახურს. ტელ. 995-614.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სამსახური

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ყადაღა დაადეს

## ვის წისქვილზე ასხამს ეს წყალს?!..

ფაქტია, ქართული ფეხბურთის წისქვილზე არა! და ეს ხდება უმნიშვნელოვანესი, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ, რომლის წარმატებით ჩატარების შემთხვევაში ეროვნული ნაკრების ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი ერთი ორად გაიზრდება.

გუშინ, ნაკრების გერმანიაში საწვრთნელ შეკრებაზე გამგზავრების წინ, დიდუბე-ჩუღურეთის საგადასახადო ინსპექციაში სფფ-ს განუცხადეს, რომ მის საბანკო ანგარიშს ყადაღა დაედო. ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას დაემსგავსა, რამაც თითქმის ჩაშლის პირას მიიყვანა ნაკრების მოსამზადებელი მთელი ციკლი. სწორედ ამ თემას მიეძღვნა გუშინ საღამოს სფფ-ს გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას პრესკონფერენცია: „ფეხბურთის ფედერაციამ მთლიანად დაფარა დავალიანება, რაც 400.000 დოლარს შეადგენდა. ახლანდელი ყადაღა საურავებს ეხება, რაც სულ 330 000 დოლარია. ამ თანხიდან ფედერაციამ 80 ათასი უკვე გადაიხადა. დარჩენილ 250 ათასს ტელევიზია (I არხი) მიმდინარე წლის 1 მარტიდან 2 წლის მანძილზე გადაიხდიდა. ეს ჩადებულია ხელშეკრულებაში, რომელიც ფედერაციამ პირველ არხთან გააფორმა ეროვნული ნაკრების ოთხივე გასვლითი შესარჩევი მატჩის ჩვენების უფლების შესაძენად. ამასთან, 30 მარტიდან რუმინეთთან, ისრაელთან და იტალიასთან გამართული მატჩებიდან შემოსული თანხიდან საურავების ვალს სრულიად დაფარავდა. ჩვენ მხოლოდ ვითხოვდით სამი თვის გრაფიკს საგადასახადო ინსპექციიდან. თითქმის ექვსი წელია ინსპექცია ფეხბურთის ფედერაციით არ დაინტერესებულა, ახლა კი, როცა გერმანული შეკრებისათვის უეფამ 50 ათასი დოლარის გრანტი გამოგვიყო, სწორედ შესაშური ოპერატიულობით ამ თანხას დაედო ყადაღა" — თქვა ვალერი ჩოლარიამ. ეს არასასიამოვნო ფაქტი ნამდვილად მოითხოვს საფუძვლიან ანალიზს. რატომ მაინცდამაინც რუმინელებთან ასეთი საპასუხისმგებლო მატჩის წინ მოითხოვეს ვალის გადახდა? მით უფრო, როცა ყველას კარგად მოეხსენებოდა, რომ ვალი საბოლოოდ უთუოდ დაიფარებოდა...

## ლევან მიქაძე კიევში ითამაშებს

არა, კიევის „დინამოში" არ გეგონოთ — თბილისის „ლოკომოტივის" 27 წლის მცველი ლევან მიქაძე უკრაინის დედაქალაქის მეორე გუნდში, არმიელთა კოლექტივში ჩაირიცხა.

ქართველ ფეხბურთელს ცსკა-ს მთავარ მწვრთნელთან მიხაილ ფომენკოსთან რეკომენდაცია გაუწია გივი ნოდიას ასისტენტმა თემურ ჩხაიძემ. ფომენკოს და ჩხაიძეს დიდი მეგობრობა აკავშირებთ: უწინ ისინი ერთ კოლექტივში, ლანჩხუთის „გურიაში" იყვნენ, უკრაინელი როგორც გუნდის თავკაცი, თემური კი კაპიტანი.

ლევან მიქაძემ თამაში სოხუმში დაიწყო და მას შემდეგ მრავალი კლუბი გამოიცვალა — „ეგრისი", „ოდიში", „ცხუმი", „დინამო" (ზუგდიდი), „პოგონი" (პოლონეთი), თბილისის „დინამო". ბოლო ორი სეზონი მან „ლოკომოტივში" გაატარა.

## კახა თარგამაძე ჩივილს აპირებს

არა, ეს არ იყო პრესკონფერენცია, რასაც ველოდით, ყოველივე მიტინგის ხასიათს ატარებდა: „დინამოს" დილმის ბაზაზე ათასზე მეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციათა მუშაკები, ვეტერანი ფეხბურთელები შეიკრიბნენ იმ საბაბით, რათა ემსჯელათ გუნდის ირგვლივ შექმნილ მდგომარეობაზე, რაც საკმაოდ რთულია. „ეს-ესაა კლუბმა გაიარა ხელახალი რეგისტრაცია და მისი ერთადერთი დამფუძნებელი, ხაზი გაუსვა შსს მინისტრმა კახა თარგამაძემ, გახდა ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამო" და არა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, როგორც ამას ამტკიცებს გაზეთი „რეზონანსი" (საერთოდ, მასმედიის მისამართით ამ დღეს თითქმის ყველა გამომსვლელმა გაილაშქრა).

თარგამაძის აზრით, ამ გაზეთის უკან გარკვეული ძალები დგანან, რომლებიც მას ბინძური ხერხებით ებრძვიან. ამიტომ მინისტრი უახლოეს დღეებში აპირებს სასამართლოში უჩივლოს გაზეთს და მორალური ზიანის მიყენებისთვის მოსთხოვოს ძალიან სოლიდური ჯარიმის გადახდა. „ეს თანხა უკლებლივ მოხმარდება ჩვენს საფეხბურთო კლუბს" — განაცხადა მინისტრმა.

## ფეხბურთი რეგიონებში

### წალენჯიხა

**გვესაუბრება რაიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გულადი გვაჯავა.**

დიდი ფეხბურთი, როგორც ცნობილია, ბავშვთა ფეხბურთით იწყება, ჩვენთან ბავშვთა კლუბებს არ გააჩნიათ საკმარისი ბურთები და სპორტული ფორმები. იმედი კი ჩაგვისახა რაიონის განათლების განყოფილებამ, რომელსაც ხელმძღვანელობს გამგებლის მოადგილე რობერტი კაჭარავა. მისი დახმარებით დაიფარა სფფ-ში შესატანი თანხები, რაც საშუალებას იძლევა სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა განაგრძონ ასპარეზობა გ. ჩოხელისა და მ. მესხის სახელობის თასებზე. რაც შეეხება რეგიონ ლიგაში მოასპარეზე წალენჯიხის „სქურს". აქ გაცილებით მძიმე მდგომარეობაა. გუნდმა შეკრება დაგვიანებით დაიწყო. გამართა საკონტროლო მატჩები ზუგდიდის „ლაზიკასთან" (შინ — 0-4) და სტუმრად (2-4). გათამაშების ცხრილში გუნდი მეორე ადგილზეა და რჩება შანსი იბრძოლოს პირველი ლიგის საგზურისათვის, სამწუხაროდ, უსახსრობის გამო გუნდი დატოვეს ახალგაზრდა წამყვანმა ფეხბურთელებმა, ისინი შეცვალეს რაიონის ერთი წლით უგუნდოდ დარჩენილმა ვეტერანმა ფეხბურთელებმა ემზარ შონიამ და გოჩა კვარაცხელიამ, მათ დაემატა ჩხოროწყუს „სამეგრელოდან" სოსო ჭეჟია, მაგრამ ვერანაირი ენთუზიაზმი ვერ შეცვლის უშუქობას, ვერ ხერხდება წყლის გაცხელება, უამინდობის შემთხვევაში იძულებული არიან თეორიული მეცადინეობას დასჯერდნენ. ბოლოს მინდა გამოვთქვა კმაყოფილება რეგიონლიგაში მსაჯების ობიექტურობასთან დაკავშირებით.

**ბელა ნაჭყებია,**
**ლელოს კორ. სამეგრელოს რეგიონში.**

## ექვსეული გაირკვა

**საქართველოს პირველობის (უმაღლესი ლიგა) XXI ტურის მიმოხილვა**

პირველი ეტაპის ბოლოს წინა ტურში ექვსეულის ყველა გუნდი გაირკვა. ბათუმში გამართული შეხვედრის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტიც კია. მასპინძლები გამარჯვების შემთხვევაში საუკეთესო ექვსეულში შეღწევის შანსს ინარჩუნებდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს „მერანის" წინააღმდეგობის დაძლევა და უკომპრომისო, დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ. ბათუმის „დინამო" ჩემპიონატის მედლებისთვის ველარ იბრძოლებს. „მერანმა" კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის. კრიზისი, რომელიც ამ გუნდს სეზონის დასაწყისში ჰქონდა, დაძლეულია და მეორე ეტაპზე, როდესაც გუნდებს ქულები გაუნახევრდებათ და თითოეულ ქულას ფასი დაედება, იგი ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება. ამ შეხვედრას ერთი უსიამოვნო ფაქტი ახლდა. მატჩი რამდენიმე წუთით შეწყდა „დინამოს" ფეხბურთელების და მაყურებლების უწესრიგობის გამო. მსაჯებთან ანგარიშსწორებას სიკეთე არავისთვის მოუტანია. არადა, ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, ხშირად ხდება. ბათუმის „დინამოს" გამოცდილ ფეხბურთელებს თავშეკავება მართებდათ. უკვე გაცვეთილია იმაზე ლაპარაკი, რომ გაწევ-გამოწევით გამარჯვების მიღწევა დაუშვებელია. უმჯობესია საქმე ვაკეთოთ და გუნდი, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის მშვენება იყო, ისევ ქართული ფეხბურთის ელიტას დავუბრუნოთ.

კიდევ ერთი მატჩი იწვევდა ინტერესს. ფოთში „კოლხეთი" „ვიტ ჯორჯიას" მასპინძლობდა. კარგი სანახაობა ფრედ დასრულდა. „კოლხეთმა" მეხუთე ადგილი „მერანს" დაუთმო და ერთი ქულით ჩამორჩა. ლიდერთა სამეულმა უპრობლემოდ გაიმარჯვა. „ლოკომოტივს", „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" შორის სხვაობა იგივე დარჩა. ბოლო XXII ტური ადგილების განაწილებაზე ველარ იმოქმედებს, ქულათა მარაგის შესავსებად კი გამოდგება.

**საბა ლომინაძე**

### XXII ტურის ანონსი

**22 მარტი**

გორდა — დინამო (თბ). მთავარი მსაჯი ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი);
მერანი — ლოკომოტივი. მთავარი მსაჯი ავთანდილ ორდინიძე (ონი);
დილა — კოლხეთი1913. მთავარი მსაჯი კახა მესხი (ზუგდიდი);
იბერია — დინამო (ბთ). მთავარი მსაჯი სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი);
თსუ — სიონი. მთ. მსაჯი ზურაბ ანიაშვილი (გორი);
ვიტ ჯორჯია — ტორპედო (გაიმართება 31 მარტს).

## ტექნიკური შედეგები

18 მარტი. სტადიონი „ლოკომოტივი".

### «ლოკომოტივი» (თბ.) — დილა (გორი) 5-0

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, გილაური, სალუქვაძე, ცხადაძე (ზ. ლაცაბიძე 63), გ. კვარაცხელია (ონიანი 69), ჰიჭვეიშვილი, ანჩაბაძე, დათვაძე, კაიდარაშვილი (გ. შენგელია 46), რუსია.
**დილა:** თ. ილურიძე, აკოფიანი (ბოკერია 59), ლ. გოჩაშვილი, გრიგალაშვილი (გოგინაშვილი 71), ფეზუაშვილი, ზ. ჩიტაია, გაგნიძე, საყვარელიძე, ხაჭაპურიძე, მ. თაყაძე, ხორგუაშვილი (ეჯოშვილი 79).
**გოლები:** 1-0 რუსია (8), 2-0 შენგელია (50), 3-0 შენგელია (60), 4-0 ჰიჭვეიშვილი (68), 5-0 რუსია (80).
**გააფრთხილეს:** საყვარელიძე, რუსია.
**მსაჯი:** ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

### სიონი — გორდა 2-0

**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ირემაშვილი, დავითაშვილი, (კ. მეტრეველი 55), გაბისონია, სიდამონიძე, მ. გოგოლაძე, ისიანი, მოსეშვილი, ბ. შენგელია, ბარნოვი.
**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბურნაძე, ა. გელაძე, დ. ბერიძე, ბექაური. (ა. სოხაძე 83). მელაძე (ციტეიშვილი 46), ჯუღელი, ჯელაძე, თ. მეტრეველი (გ. მიქაძე 54), კ.ალადაშვილი.
**გოლები:** 1-0 ისიანი (78), 2-0 კ. მეტრეველი (89).
**გააფრთხილეს:** გაბისონია, გოგოლაძე, გელაძე, მიქაძე.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | თ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** | **21** | **17** | **2** | **2** | **40-7** | **53** |
| **ტორპედო** | **21** | **14** | **5** | **2** | **33-7** | **47** |
| **დინამო (თბ)** | **21** | **14** | **3** | **4** | **50-19** | **45** |
| **ვიტ ჯორჯია** | **21** | **10** | **7** | **4** | **29-15** | **37** |
| **მერანი91** | **21** | **8** | **8** | **5** | **22-20** | **32** |
| **კოლხ.1913** | **21** | **8** | **7** | **6** | **22-17** | **31** |
| დინამო (ბთ) | 21 | 7 | 4 | 10 | 29-29 | 25 |
| სიონი | 21 | 7 | 4 | 10 | 17-28 | 25 |
| თსუ | 21 | 5 | 3 | 13 | 19-37 | 18 |
| გორდა | 21 | 3 | 9 | 9 | 15-27 | 18 |
| [illegible] | 21 | 4 | 3 | 14 | 13-44 | 15 |
| [illegible]ერია | 21 | 0 | 3 | 18 | 3-42 | 3 |

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში — XXI ტურის ტექნიკური შედეგები

**გააძევეს:** მიქაძე
**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

### დინამო (ბთ) — მერანი 1-2

**დინამო:** ჭანტურია, ი. მახარაძე, მინდაძე, ტუღუში, მჟავანაძე, გელა ქორიძე, ღლონტი (დარჩიძე 46), რომანაძე (გველესიანი 65), მაჭუტაძე, აფხაზავა, (ყულეჯიშვილი 31), ა. მუჯირი.
**მერანი:** ნაჭყეპია, გოგიტაძე, გუჯაბიძე, დავითნიძე, ცქიფურიშვილი, ხუჯაძე, ჩხაიძე (კოშკაძე 63). დევიძე, ბოლქვაძე (ჭინჭარაული 75), ხუციშვილი (ბაჯელიძე, 90), მინაშვილი.
**გოლები:** 0-1 ბოლქვაძე (42), 1-1 ყულეჯიშვილი (79), 1-2 მინაშვილი (88).
**გააფრთხილეს:** ხუციშვილი, დავითნიძე, გუჯაბიძე, ჯინჭარაული
**გააძევეს:** მუჯირი, მახარაძე.
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

### დინამო (თბ) — იბერია 3-0

**დინამო:** გრიშიკაშვილი, ზამთარაძე, სვანაძე, (მუშკუდიანი 84). შაშიაშვილი, კანდელაკი, ბურდული (გაბიდაური 46), მაზიაშვილი, მანწკავა, იაგორაშვილი (თუთარაშვილი 73), ზირაქიშვილი, მიკუჩაძე.
**იბერია:** ცინაძე, გ. ხიზანიშვილი, ამისულაშვილი, მიქელთაძე, ძამსაშვილი (გ. ნოზაძე 28), გულორდავა, კაჭარავა, (კვიციანი 26, ლ. ხმალაძე 64) ივეჩიანი, ქვანია, გაგუა, ნინუა.
**გოლები:** 1-0 მიკუჩაძე (5), 2-0 ზირაქიშვილი (67), 3-0 მაზიაშვილი (80).
**გააფრთხილეს:** მიქელთაძე, ხიზანიშვილი.
**მსაჯი:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი)




**«ლოკომოტივი» — «დილა»**
*ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები*

### ტორპედო — თსუ 2-0

**ტორპედო:** ზოიძე (გვარამაძე 46), ქემოკლიძე, ლევან სილაგაძე, თოდუა, აბრამიძე, ჯინჭარაძე (გვირჯიშვილი 55), ბაბუნაშვილი, დიდავა, ბობოხიძე (არჩვაძე 70), დ. ჯანაშია, აშვეთია.
**თსუ:** სტურუა, ხარებავა (დათუნაშვილი 69), ებრალიძე, ბერიანიძე, არეშიძე, ზ. გვაზავა, ბ. ნოზაძე, ახალაძე, მესხი, მერებაშვილი, ქერაშვილი (შოშიაშვილი 80)
**გოლები:** 1-0 აბრამიძე (18), 2-0 აშვეთია (პ. 90)
**გააფრთხილეს:** ქერაშვილი, ხარებავა, არეშიძე.
**მსაჯი:** დ. სანაია.

### კოლხეთი-1913 — ვიტ ჯორჯია 1-1

**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, მ. ქობულაძე, ფანჩულიძე, კვირკველია (ხუჭუა 53), ღლანიძე (ჭანტურიძე 46). აკობია, შალამბერიძე (ყურაშვილი 81), ხუროძე, წივწივაძე.
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, საჯაია, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი (ინწკირველი 36), ჭანკოტაძე, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, გოგობერიშვილი, ყუფიანი, (ვ. გოჩაშვილი 71), გიორგი ქორიძე, წუწუნავა 87), ლ. მელქაძე.
**გოლები:** 0-1, ნოზაძე (30), 1-1 ჭანტურიძე (85)
**გააფრთხილეს:** გოროზია, ქორიძე, მელქაძე
**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი).

## I ლიგა

| | |
|---|---|
| თორი — ოკეანე | 0-0 |
| დინამო (ზ) — კოლხეთი (ხ) | 0-4 |
| შუქურა — ცხინვალი | 2-1 |
| სამგურალი — მილანი | 3-1 |
| თბილისი — ივერია | 2-0 |
| მეტალურგი — გურია-ლოკ2 | 2-0 |

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | თ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მეტალურგი** | **20** | **11** | **6** | **3** | **33-17** | **39** |
| **გურია-ლოკ2** | **20** | **11** | **5** | **4** | **28-22** | **38** |
| **შუქურა** | **20** | **11** | **4** | **5** | **27-15** | **37** |
| **ცხინვალი** | **20** | **11** | **3** | **6** | **44-23** | **36** |
| **მილანი** | **20** | **11** | **3** | **6** | **29-18** | **36** |
| **სამგურალი** | **20** | **10** | **3** | **7** | **35-21** | **33** |
| თორი | 20 | 8 | 4 | 8 | 21-15 | 28 |
| დინამო (ზ) | 20 | 7 | 3 | 10 | 29-43 | 24 |
| კოლხეთი (ხ) | 20 | 5 | 6 | 9 | 15-22 | 21 |
| ოკეანე | 20 | 4 | 4 | 12 | 20-38 | 16 |
| ივერია | 20 | 4 | 3 | 13 | 12-36 | 15 |
| თბილისი | 20 | 4 | 2 | 14 | 9-32 | 14 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვთა ფეხბურთი





## ოთარ ნოზაძის ხსოვნის ტურნირი

ცნობილი ჟურნალისტი, ფეხბურთის უბადლო მცოდნე ოთარ ნოზაძე მთელი ნახევარი საუკუნე იღწვოდა პრესაში, აქედან უმეტესი დრო მან თავის საყვარელ გაზეთ „ლელოში" გაატარა.

ამ დღეებში თბილისში ჩატარდა ოთარ ნოზაძის ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში 1989-90 წლებში დაბადებულ ჭაბუკთათვის 10 გუნდის მონაწილეობით. ნახევარფინალში „არწივმა" სძლია „ოლიმპიკს" 1-0; „ივერიამ" პენალტების სერიით აჯობა „მართვეს". ფინალში კი „არწივმა" მოუგო „ივერიას" 1-0 და მთავარ პრიზს დაეუფლა (მწვრთნელი ნუგზარ აბრამიშვილი).

დასახელდნენ საუკეთესო მოთამაშეები: მეკარე - ლევან აბაშიძე, ნახევარმცველი - გიგა გაბელია, საუკეთესო ფეხბურთელი - ზვიად ჭადაშვილი (სამივე - „არწივი"), მცველი - ლევან რთველიაშვილი, თავდამსხმელი ზაზა კობახიძე (ორივე - „ივერია").

ოთარ ნოზაძის კოლექციიდან შერჩეული სპეციალური პრიზი გადაეცა თორნიკე გუშარაშვილს („არწივი").

სურათებზე: მარცხნივ - „არწივი", მარჯვნივ - „ივერია" (რობერტ ბაგოიანის ფოტოები)

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ეფენბერგი: „შეგვიძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება"

ჟურნალისტებმა რამდენიმე კითხვით მიმართეს მიუნხენის „ბაიერნის" კაპიტანს, 32 წლის ნახევარმცველ შტეფან ეფენბერგს.

● *გჯერათ, რომ წელს „ბაიერნი" შეძლებს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას?*

— თუ არავინ დაგვიშავდება და ცოტა სპორტული იღბალიც გვექნება, წელს უნდა მოვიგოთ ჩემპიონთა ლიგა. ამასთან, ჩვენს გარდა კიდევ არის 2-3 მეტისმეტად კარგი კლუბი.



● *„ბაიერნის" თამაშის რომელი სისტემა მოგწონთ ყველაზე მეტად? ლიბეროს გამოყენებით, თუ ოთხი მცველის ერთ ხაზზე თამაში?*

— მირჩევნია, რომ მინდორზე იყოს ლიბერო. იმიტომ, რომ დღეისათვის ლიბერო შუა ხაზზეც თამაშობს. ეს საშუალებას გვაძლევს მეტი მოთამაშე გვყავდეს მინდვრის შუაგულში და კომბინაციების მეტი შესაძლებლობაც გვქონდეს.

● *როგორ ფიქრობთ, ვის შეუძლია რამდენიმე წლის შემდეგ თქვენი შეცვლა?*

— თუკი სათამაშო პოზიციას და შესრულების ხარისხს გავითვალისწინებთ, ეს იქნება ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელი ოუენ ჰარგრეივზი, რომელზეც პრეტენზია ინგლისისა და კანადის ნაკრებებსაც აქვთ.

● *რაც შეეხება თქვენს გეგმებს აშშ-ში გადასვლის შესახებ?*

— ისევე, როგორც ადრე, ეს აქტუალური საკითხია. მართალია, ახლა ვერ გეტყვით, როდის გავემგზავრები ამ ქვეყანაში, რადგან მიუნხენში თამაში კვლავინდებურად დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

## ლუიშ ფიგუ: კრიტიკა ზომიერი უნდა იყოს

**ლუიშ ფიგუს ესაუბრება პარიზის „ფრანს ფუტბოლის" კორესპონდენტი ვერსან მაშნო.**

● *ცხადია, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლის იმედი გაქვთ.*

— დიახ, მაგრამ ჩვენ ჯერ ეს უფლება უნდა მოვიპოვოთ. ჩვენი ჯგუფი კი ძლიერია, მეტოქეებად ჰოლანდიელები და ირლანდიელები გვყავს. მართალია, ჯერჯერობით კარგი შედეგები გვაქვს (7 ქულა 3 მატჩის შემდეგ), მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ფინალში მხოლოდ ერთი გუნდი გადის (ვიცით, რომ მიზნისაგან ჯერ საკმაოდ შორსა ვართ. ევროპის შესარჩევ ტურნირში ბრძოლა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე სამხრეთ ამერიკაში.

● *და მაინც მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვება, უპირველეს ყოვლისა, თქვენზეა დამოკიდებული.*

— დიახ, ასეა. არავისი გვეშინია, ჩვენი ბედი ჩვენზეა დამოკიდებული და სწორედ ეს არის კარგი. ვოცნებობ ვითამაშო იაპონიასა და კორეაში. მსოფლიო ჩემპიონატი ხომ მწვერვალია, მასზე უფრო მნიშვნელოვანი ტურნირი არც კი არსებობს.

● *როცა „ბარსელონიდან" „რეალში" გადახვედით, მატერიალურად ბევრი მოიგეთ?*

— ამ თემაზე ლაპარაკი არ მინდა.

● *ერიდებით ფულზე ლაპარაკს?*

— ფულზე ლაპარაკს კი არ ვერიდები, არამედ, პირად შემოსავალზე ლაპარაკს.

● *პირდაპირ გასაგიჟებელ თანხებზე ლაპარაკობენ.*

— აქ სიმართლეს ვერ გაიგებთ. პრესა ხშირად არაზუსტ ცნობებს აქვეყნებს.

● *56 მილიონი თქვენი გადასვლისათვის. ეს სარეკორდო თანხაა.*

— ეს ბაზარია. როცა ჩემს პირველ კონტრაქტში აღნიშნული იყო ექვსი მილიონი დოლარი, ასე ვიფიქრე, ვინ უნდა დაიხადოს ეს თანხა. შემდეგ კი ფეხბურთის ბუმი დაიწყო... ისე კი, ინფლაციასაც ნუ დავივიწყებთ. მაინც ვფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან შეზღუდვებს შემოიღებენ.

● *საჭიროა ფეხბურთელთა შემოსავლების შეზღუდვა?*

— არ არის საჭირო. შეადარეთ NBA-ს. რატომ არ უნდა დავეწიოთ მათ, როცა სნაიპერები და ტელევიზია იხდის?

● *თქვენ ბევრი მეგობარი გყავთ?*

— საკმარისად ბევრი და ამას დიდი მნიშვნელობაც აქვს. მათ შორის კატალონიელებიც არიან — მეგობრობა ფეხბურთის მაისურის ფერზე არ არის დამოკიდებული.

● *მადრიდი უფრო გიზიდავთ, ვიდრე ბარსელონა?*

— მათი შედარება ძნელია. ბარსელონა ცხოვრების პირობების ძალიან მაღალი დონით გამოირჩევა. ეს არის ბოჰემის ქალაქი. მადრიდში კი მეტი ფუსფუსი და წრიალია. ყველგან არის კარგი და ცუდი. უკვე განვეწყე იმისათვის, რომ უკეთესისკენ უნდა მივისწრაფვოდე და, ამავე დროს, ყოველგვარ პირობებს უნდა შევეგუო.

● *გსურთ კვლავ „რეალში" დარჩეთ?*

— ვერ ვხედავ კლუბის შეცვლის აუცილებლობას. ახლა ჩემზეც უნდა ვიფიქრო და ჩემს ოჯახზეც.



● *არის თუ არა სერიოზული განსხვავება „რეალსა" და „ბარსელონას" შორის სათამაშო სქემის მიხედვით?*

— ტაქტიკური სქემები, ცხადია, განსხვავებულია. „ბარსელონაში" უმეტესად ფრთაზე ვთამაშობდი, „რეალში" კი ცენტრში.

● *„რეალში" უფრო მეტი სათამაშო თავისუფლება გაქვთ, ვიდრე „ბარსელონაში"?*

— არ ვიტყოდი. ამ თვალსაზრისით განსხვავება თითქმის არ არის. „ბარსელონაში" მარჯვენა შუამარბი ვიყავი. „რეალს" ორი შემტევი ნახევარმცველი ჰყავს, რომლებიც მინდვრის ცენტრთან ახლოს მოქმედებენ. ამ სქემაში კარგად ვგრძნობ თავს.

● *„რეალს" ხშირად აკრიტიკებენ...*

— არ მესმის, რა ხდება. თუკი „რეალი" იგებს, წერენ, რომ მეტოქე სუსტი იყო, თუკი აგებს, ამას ერთმნიშვნელოვნად ასე ხსნიან — „რეალი" ძალზე სუსტია. კრიტიკა ზომიერი უნდა იყოს. ჩვენ არა მარტო კარგად ვთამაშობთ, არამედ ყველა ცხრილშიც მაღლა გვაყენებენ. ნებისმიერ შეჯიბრებაში ფავორიტად გვთვლიან. ისე კი, ყოველთვის მწვერვალზე ყოფნა შეუძლებელია.

● *რატომ თამაშობს „რეალი" ჩემპიონთა ლიგაში უფრო მეტი ალმაფრენით, ვიდრე ესპანეთის პირველობაზე?*

— მინდორზე ყოველთვის მოსაგებად გამოდიხარ. ესპანეთის ჩემპიონატში ზოგჯერ ფიქრობ, რომ მეტოქე არც ისე ძლიერია და თამაში მაინცდამაინც არ უნდა გაგიჭირდეს. ეს ზოგჯერ შეცდომაც არის. და კიდევ ერთი — როცა ესპანურ კლუბებს თქვენთან თამაშის წინ მოსამზადებლად მთელი კვირა აქვთ, ჩვენ საამისოდ სულ ორი დღე გვრჩება.

● *ასეა თუ ისე, „რეალისათვის" უფრო მნიშვნელოვანია ევროპული თასი.*

— ჩემპიონთა ლიგა წლის უმთავრესი საკლუბო ტურნირია. ამასთან, ჩვენს რეიტინგს ნებისმიერი სხვა შეჯიბრების მოგებაც ამაღლებს. მე ფეხბურთს იმ დრომდე ვითამაშებ, სანამ მოტივაცია მექნება, სურვილი და შესაძლებლობა. მოვიგო ყველა ტურნირი და ყველა მატჩი.

## არგენტინელები - მომავალი მსოფლიო ჩემპიონები?

მსოფლიო 2002 წლის ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ ბევრი მიმომხილველი ახლავე დარწმუნებულია, რომ იაპონიასა და სამხრეთ კორეაში სწორედ არგენტინელები გაიმარჯვებენ.

დიახ, მაგრამ რატომ ფიქრობენ ასე ექსპერტები? ჯერ ერთი მარსელო ბიელსას იმდენი პირველხარისხოვანი ოსტატი ჰყავს, რამდენსაც ვერცერთი სხვა ნაკრები ვერ დაიტრაბახებს. არგენტინელები მეტად დამაჯერებლად თამაშობენ მსოფლიო პირველობის შესარჩევ ჯგუფში. კიდევ ერთი — დიდი შთაბეჭდილება დატოვა იტალიელების დამარცხებამ.

## მამუკა ძიმისტარიშვილი - ტურნირის საუკეთესო მოთამაშე

მოსკოვის სასწავლო-სპორტულ კომპლექს „ჩერტანოვოში" ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში ცერებრალური დამბლით სნეულ ინვალიდთა შორის. ოთხი გუნდი — ირანის ისლამის რესპუბლიკის, უკრაინის, რუსეთის (ახალგაზრდული) ნაკრებებისა და საფეხბურთო კლუბ „ლევ ჩერნოი-ოლიმპიკის" გუნდები ეცილებოდნენ ერთმანეთს „ოქროს თასს" — „Golden Cup"-ს, რომელიც დააწესა მოძრაობა საზოგადოებრივი მოძრაობის დემოკრატიული რეფორმების „მობილიზაცია და განვითარების" პრეზიდენტმა ლევ ჩერნოიმ. მანვე ითავა ტურნირის გენერალური სპონსორობა.

ასპარეზობას, რომელშიც თითოეულ გუნდში ჩვეულებრივი თერთმეტი მოთამაშის ნაცვლად, ინვალიდთა ფეხბურთში 7-7-ია, ამასთან, არ ითვლება „თამაშგარე მდგომარეობა" და აუტიდან ბურთს ცალი ხელით აწვდიან, სპეციალისტთა და მაყურებელთა დიდი მოწონება ხვდა.




მთელი ტურნირის განმავლობაში დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ორთაბრძოლებს ოლიმპიური ჩემპიონები ალექსეი პარამონოვი და ნიკიტა სიმონიანი, 1960 წლის ევროპის თასის მფლობელები ვალენტინ ბუბუკინი, ვიქტორ პონედელნიკი, ვიქტორ ცარიოვი. მათვე ტურნირის დამთავრების შემდეგ საუკეთესო მოთამაშეებს გადასცეს მოოქრული მინიატურული ქანდაკებები. ერთ-ერთი პრიზი ერგო 17 წლის მოსკოველ ფეხბურთელს მამუკა ძიმისტარიშვილს (გაიტანა 5 გოლი). იგი, ისევე როგორც სიდნეიში, პარაოლიმპიურ თამაშებში, აქაც ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. მისმა „ლევ ჩერნოი-ოლიმპიკმა" მეორე ადგილი დაიკავა ირანის ნაკრების შემდეგ, რომელსაც გენერალურმა სპონსორმა „ოქროს თასი" გადასცა.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ვიქტორ პუას ოპტიმიზმი

**ვიქტორ პუამ, რომელმაც ურუგვაის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე შეცვალა მოულოდნელად გადამდგარი დანიელ პასარელა, ქებით მოიხსენია თავისი წინამორბედი:**

**— არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე იმის 90 პროცენტი, რაც მემკვიდრეობით მივიღე, სწორედ პასარელას ეკუთვნის. ყოველთვის ოპტიმისტურად ვუყურებდი ამ გუნდს. მისი საშუალო ასაკი 22 წელია. დიდი იმედი მინდა გამოვთქვა, ურუგვაის ნაკრებს კარგი მომავალი აქვს.**

## „17 მატჩი მეტისმეტად ბევრია“

ასე ფიქრობს მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი, რომლის აზრით ჩემპიონთა ლიგის რეგლამენტი უნდა შემცირდეს.

— 17 მატჩის ნაცვლად 13 სრულიად საკმარისი იქნებოდა. პირველ ჯგუფურ ტურნირს პირდაპირ მერვედფინალი უნდა მიჰყვეს.

## რახან არავის აინტერესებს

**როგორც ცნობილმა ნახევარმცველმა თომას შტრუნცმა განაცხადა, გადაწყვეტილი აქვს თავი დაანებოს ფეხბურთს. შტრუნცი არაერთხელ გამოსულა გერმანიის ნაკრებში, მიუნხენის „ბაიერნში“ კი კარგა ხანს ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო. იანვარში მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა შტრუნცს ურჩია, სადმე ახალი გუნდი მოეძებნა. რახან ასეთი არ აღმოჩნდა (თუმცა ცდები იყო), შტრუნცმა გადაწყვიტა დაესრულებინა თამაში.**

## სომხურ ფეხბურთში „ქარიშხალი კვლავ მძვინვარებს“

ასე ფიქრობს მიმომხილველი ალექსანდრ გრიგორიანი, რომლის ვრცელი მიმოხილვა მოსკოვის „ფუტბოლმა“ გამოაქვეყნა. იგი აღწერს იმ ამბებს, სომხურ ფეხბურთში შარშანდელი ოქტომბრის შემდეგ რომ მოხდა, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ კლუბები და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია.

გრიგორიანი სვამს კითხვას: „დღემდე ნათელი არ არის ქვეყნის მომავალი ჩემპიონატის ბედი. რამდენი გუნდი მიიღებს მასში მონაწილეობას? ითამაშებენ კი „არარატი“, „მიკა“, „ზვარტნოცი“, „დინამო“, „არმენიკუმი“, „კილიკია“? კითხვა მრავალია, პასუხი — არავითარი.

როგორც მიმომხილველი წერს, ქ. არარატში გაიმართა ამ განდგომილი კლუბების „საიდუმლო სერობა“. კლუბების პრეზიდენტები არ აპირებენ მიჰყვნენ ფედერაციის ფუნქციონერებს, რაიმე დაუთმონ მათ.

გულშემატკივრებს ძალიან აღელვებთ ნაკრებიც, რომელმაც ამ ორი წლის განმავლობაში წააგო ყველაფერი, რის წაგებაც კი შეიძლებოდა. „ყველა ამ უბედურებაში ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვარუჟან სუკიასიანის დადანაშაულება არ ღირს“ — წერს გრიგორიანი და ასკვნის, რომ ამ მწვრთნელს ძალიან დაბალი კვალიფიკაცია აქვს და დამნაშავეა არა იმდენად ის, არამედ ისინი, ვინც სუკიასიანი ამ მაღალ თანამდებობაზე დანიშნა. არ იყო სწორი, როცა ფედერაციამ გააუქმა მწვრთნელთა საბჭო, რომელსაც ედუარდ მარქაროვი ხელმძღვანელობდა. აი, ნაკრების ადრინდელი მწვრთნელი სურენ ბარსეღიანი კი გაცილებით უკეთ ასრულებდა მოვალეობას.

## „რეალი“ შევჩენკოს „ეჩალიჩება“

**ესპანეთის სპორტულ გაზეთ „მარკაში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სამეფო კლუბისა და „მილანის“ ფორვარდის ანდრეი შევჩენკოს აგენტებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება მადრიდელთა გუნდში უკრაინელის ტრანსფერის თაობაზე. შევჩენკოს გაყიდვა შესაძლებლობას მისცემს როსონიერთა თავკაცს სილვიო ბერლუსკონის იყიდოს „ლაციოდან“ სალასი, ვერონი და კრესპო, გარდა ამისა, „რეალი“, თურმე თანახმაა შევჩენკოს ნაცვლად „მილანს“ დაუთმოს მორიენტესი და გუტი.**

## წმინდა საფეხბურთო სტადიონი 66 ათასი მაყურებლით

**როგორც ბუნდესლიგის კლუბების „ბაიერნისა“ და „მიუნხენ 1860“-ის წარმომადგენლების ქალაქის გუბერნატორთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, მიუნხენში, ქალაქის ფარგლებში დაიწყება წმინდა საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა 66 ათასი მაყურებლით. იგი 2005 წელს დამთავრდება.**

## ვინ არის დამნაშავე?

სტამბოლში მიმდინარეობს ორი ინგლისელი გულშემატკივრის მკვლელობის საქმის მოსმენა, რომლებიც შარშან „გალათასარაისა“ და „ლიდს იუნატედს“ შორის უეფას თასის ნახევარფინალურ მატჩს შეეწირნენ. 17 წლის დალაქმა უმიტ ოზდერიმმა განაცხადა, რომ ჩხუბში არ მონაწილეობდა, თუმცა ტაქსიმის მოედანზე იმყოფებოდა, სადაც შეტაკება მოხდა.

მთავარი ბრალდებული ალი უმიტ დერიმია. თუ მას ორმაგი მკვლელობა დაუმტკიცდა, მაშინ 30 წლამდე ციხე ელის.

## დისკვალიფიკაცია 20 წლით

**ფრანგულ კლუბ „გრან-კევილის“ ერთ-ერთი მოთამაშე მატჩის არბიტრისა და თანამსაჯების ცემისთვის დისკვალიფიცირებულია 20 წლით. მსაჯებს სასამართლოსათვის არ მიუმართავთ, თორემ ფეხბურთელს გაცილებით უფრო მკაცრი სასჯელი ელოდა.**


მაგთი GSM

მაგთი MAGTI GSM

ფილარმონია. 26 მარტი. 20 სთ

წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს

„ვარსკვლავები“

ღონისძიების ორგანიზატორები: შ.პ.ს. „ვერიტა“, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა: რადიო „ფორტუნა“ და „ფორტუნა პლუსი“, გაზეთები „ლელო“, „ალია“, „სარბიელი“.

გენერალური სპონსორია მაგთი GSM

თქვენ ხელით შეადგინეთ ქართული ფეხბურთის ელიტასთან.

VERITA

106.9 FM FORTUNA

ლელო

სარბიელი

ანკეტა იხ. უკანა მხარეს (მე-6 გვ.)


# ტონი ადამსი: მე „არსენალის“ საკუთრება ვარ

**ენტონი (ტონი) ალექსანდერ ადამსი ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად ითვლება.**

**დაიბადა 1966 წლის 10 ოქტომბერს, ლონდონში. 190 სმ, 88 კგ. „არსენალის“ აღზრდილია. მის შემადგენლობაში 646 მატჩი ჩაატარა (487 — ჩემპიონატში, 107 — ინგლისის თასსა და ინგლისის ლიგის თასზე, 52 — ევროპულ თასებზე), გაიტანა 47 გოლი. „არსენალის“ კაპიტანია. 1987 წლიდან ინგლისის სამგზის ჩემპიონი, ინგლისის ორგზის და ინგლისის ლიგის თასის მფლობელი თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული. ინგლისის ნაკრებში თამაში 1987 წლიდან დაიწყო (66 მატჩი, 5 გოლი). გამოდიოდა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატში, ევროპის 1988, 1996 და 2000 წლების ჩემპიონატებში.**

17 წლის ადამსი იმ დროს გამოჩნდა „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში, როცა ლონდონელთა კლუბი საკმაოდ უფერულად თამაშობდა. იმ დღიდან „არსენალის“ გულშემატკივრებმა სწორედ მის სახელს დაუკავშირეს კლუბის აღორძინება. „მაშინ კლუბს სათავეში ჩაუდგა ჯორჯ გრემი, რომელმაც ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა. ჯერ ერთი, გამომინახა ადგილი დაცვის ცენტრში (მანამდე ადამსი ნახევარდაცვაში თამაშობდა), მეორე და მთავარი კი ის იყო, რომ ჩემი ძალა ირწმუნა. არაფერი ისე არ მოქმედებს ახალგაზრდა ფეხბურთელზე, როგორც იმის შეგრძნება, რომ მას ენდობიან. ამის გამო იყო, რომ ჩემი კარიერა ასე კარგად წარიმართა“. ადამსის ამ სიტყვების გულწრფელობა არავის აეჭვებს.

გრემმა ადამსს არა მარტო „არსენალის“ კაპიტნობა ანდო (ამ როლს ადამსი 21 წლის განმავლობაში ასრულებდა), არამედ რეკომენდაცია, გაუწია ინგლისის ნაკრებში, „კოლოსიც“ სწორედ მან დაარქვა. უნდა ითქვას, რომ ახლა „კოლოსს“ ადამსს მხოლოდ „არსენალის“ გულშემატკივრები უწოდებენ, ყველა დანარჩენი კი უბრალოდ... „ვირს“ ეძახის, „ვირი“ ფეხბურთელს ჯერ კიდევ 1988 წელს დაერქვა, ევროპის პირველობაზე ჰოლანდიის ნაკრებთან მატჩის შემდეგ. იმ შეხვედრაში 21 წლის მცველს განთქმული მარკო ვან ბასტენის „მეურვეობა“ დაავალეს, მარკომ კი 3 გოლი გაიტანა. „განტევების ვაცი“ თუ ვირი კი ადამსი გამოვიდა. მართალია, შეუპოვარ ადამსს ხელი სულაც არ ჩაუქნევია, შემდეგ მატჩშიც მონაწილეობდა საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ და რინატ დასაევს გოლიც კი გაუტანა.

ჰოლანდიელებთან მატჩი მეტად უსიამოვნო, მაგრამ მაინც ეპიზოდი იყო ადამსის ცხოვრებაში. საერთოდ კი, მას ახასიათებს მეტად საიმედო მოქმედება, პოზიციის სწორი შერჩევა, მეტოქესთან წარმატებული ორთაბრძოლა, შესანიშნავი თამაში თავით. გარდა თავისი პირდაპირი მოვალეობისა, ადამსს ყოველთვის უყვარდა შეტევაში ჩართვა. როცა სტანდარტული დარტყმები ინიშნება, ტონი ყოველთვის მიდის წინ და მარჯვედ თამაშობს თავით ისე, რომ მცველმა 50-ზე მეტი გოლი გაიტანა, ცხადია, ჩინებული შედეგია. რა თქმა უნდა, ჰქონდა უიღბლო მატჩებიც. ასე, მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრაში (1-1) ორივე გოლი გაიტანა, ერთით, ცხადია, საკუთარი გუნდის გულშემატკივრები აღაშფოთა.



ტონი ადამსი

ადამსმა ციხეშიც მოასწრო ყოფნა. მანქანა ნასვამს მიჰყავდა, უფრო სწორად, ნასვამს კი არა, ძლიერ მთვრალს, რისთვისაც სასამართლომ 4 თვით პატიმრობა მიუსაჯა. აქედან 2 თვე ადამსი საპატიმროში იყო, 2 თვეც ამნისტიამ „ჩამოაწერა“. მაშინვე დაუბრუნდა მინდორს და 1991 წელს ინგლისის ჩემპიონიც გახდა. იმავე 1991 წელს ადამსი იყო ინიციატორი მასობრივი მუშტი-კრივისა, რომელშიც „არსენალისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ 21 მოთამაშე მონაწილეობდა (ყველა, მეკარე სიმენის გარდა). 1996 წელს ევროპის ჩემპიონატის წინ ადამსმა გამოსცა ავტობიოგრაფიული წიგნი „ადამიანი, რომელსაც მავნე მიდრეკილებები აქვს“. ადამსი გამოტყდა, რომ 7 კვირის განმავლობაში მკურნალობდა, შეეცადა ლოთობისაგან განთავისუფლებულიყო. აქ იგი წერდა: „ვსვამდი, ბევრსაც ვსვამდი, მაგრამ, რასაც ალკოჰოლიკი ჰქვია, ის არ ვიყავი“. წელიწადნახევრის განმავლობაში ამ წიგნის მრავალი ეგზემპლარი გაიყიდა.

აი ერთი ეპიზოდიც ადამსის კარიერიდან. მან, როგორც კაპიტანმა, გადაწყვიტა მიელოცა ნახევარმცველ სტივ მოროუსათვის, რომელმაც გადამწყვეტი გოლი გაიტანა ინგლისის ლიგის თასის ფინალურ მატჩში. ერთხელ იგი აისროლა ჰაერში და დაიჭირა, მეორედ აისროლა და ვეღარ დაიჭირა! მოროუ დაეცა და ხელი ორ ადგილას გადაუტყდა.

იანვარში ტონი ადამსმა განაცხადა, რომ სტოვებს ნაკრებს. მალე, როგორც ფიქრობენ, იგი საერთოდ გამოეთხოვება ფეხბურთს, ადამსი ხომ უამრავჯერ დაშავდა. თვით ფეხბურთელი ცოტა სხვანაირად ფიქრობს: „სანამ „არსენალში“ ყველაფერი ხელს მაძლევს, სანამ ყველა პატივისცემით მექცევა, ვაპირებ მხოლოდ ამ კლუბში თამაშს. თავს „არსენალის“ საკუთრებად ვთვლი. ახლა შემეძლო ფეხბურთისათვის თავი დამენებებინა, საამისოდ კარგი მომენტიც მქონდა, მაგრამ არ მინდა არსენ ვენგერს ვუღალატო, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ვაპირებ „არსენალის“ შემადგენლობაში კიდევ რაიმე წარმატება მოვიპოვო, და მხოლოდ ამის შემდეგ შევწყვიტო თამაში“.

მოამზადა
**გივი თორელმა**

## კახი კალაძის „მილანი“ გაძლიერებას აპირებს

მას შემდეგ, რაც ალბერტო ძაკერონის ნაცვლად „მილანის“ მთავარი მწვრთნელი პოსტი ჩეზარე მალდინიმ დაიკავა, გერმანელი თავდამსხმელის ოლივერ ბირჰოფის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყდა — იგი მალე დატოვებს როსონიერთა გუნდს.

როგორც იტალიური „ლა გაძეტა დელო სპორტი“ იტყობინება, ბირჰოფის ნაცვლად „მილანის“ ხელმძღვანელობას სურს შეიძინოს „ლაციოს“ არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო, რომლის სატრანსფერო ღირებულება 50 მილიონი დოლარია. გარდა ამისა, განიხილება აგრეთვე შემადგენლობის გაძლიერების სხვა ვარიანტებიც — ჩილელი მარიო სალასი იგივე „ლაციოდან“ ან მარკ ვიდუკა ინგლისის „ლიდსიდან“. არც ისაა გამორიცხული, რომ „ლაციოდან“ განხორციელდეს არგენტინელი ნახევარმცველის სებასტიან ვერონის ტრანსფერი.

მიმდინარე სეზონში მალდინი-უფროსმა და მისმა თანაშემწემ მაურო ტასოტიმ იტალიის ჩემპიონატში ისეთი ადგილის დაკავება დაგეგმეს, რომელიც გუნდს საშუალებას მისცემს ამ შემოდგომით ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს. რაც შეეხება ბირჰოფს, მას, ეტყობა, მოუწევს დაყაბულდეს კრისტოფ დაუმის წინადადებას — გადავიდეს თურქეთის „ბეშიქთაშში“.

## „COPA AMERICA“-ზე რონალდოც ითამაშებს

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ემერსონ ლეაომ განაცხადა, რომ „ინტერის“ თავდამსხმელი რონალდო აუცილებლად ითამაშებს სამხრეთამერიკულ ჩემპიონატში: „Copa America“-ს გათამაშება გაიმართება წელს, ივნისში, კოლუმბიაში. ლეაომ ყურად არ იღო „ინტერის“ ხელმძღვანელთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რონალდოს ჯერ კიდევ სრულად არ მოშუშებია ტრავმა. ბრაზილიელთა მწვრთნელის აზრით: „რონალდო თავისი ბუნებით ჭეშმარიტი ჩემპიონია. ასეთი ფეხბურთელები 50 წელიწადში ერთხელ იბადებიან. იგი აუცილებლად დაგვჭირდება კოლუმბიაში“.

